ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N24/86

2019 წლის 18 ნოემბერი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

თვითმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულოს 2013 წლის 09 დეკემბრის №23/138 განკარგულებით დამტკიცდა თვითმართველი ქალაქის - ფოთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლის 11-ე ნაწილის თანახმად, 2019 წლის 3 ივნისამდე დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას, თუმცა 2019 წლის 3 დეკემბრამდე უნდა განხორციელდეს ასეთი გეგმების კოდექსისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შემუშავებულ იქნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დადგენილების პროექტი. აღნიშნული პროექტით ხდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გენერალურ გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა, კონცეპტუალური გადაწყვეტების შეცვლის გარეშე, კერძოდ, ცვლილებების შედეგად არ იზრდება ჯამური განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ2), სართულიანობა ან/და საცხოვრებელი ფონდის სიმჭიდროვე, რაც საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული ,,სივრცითი დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წარმოადგენს არაარსებით ცვლილებას.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გენერალური გეგმის განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ ორ სტადიად: ა) I სტადია – გენერალური გეგმის კონცეფციის განხილვა და დამტკიცება; ბ) II სტადია – გენერალური გეგმის განხილვა და დამტკიცება, ხოლო ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობით გეგმებში ცვლილება შეიტანება ახალი გეგმების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის დადგენილი წესით. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 42-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, გენერალურ გეგმაში არაარსებითი ცვლილების შეტანის შემთხვევაში 1 სტადია არ ხორციელდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 42-ე მუხლის და 141-ე მუხლის მე-11

ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-16 და 20-ე მუხლების საფუძველზე,

1.დაწყებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის პროექტის განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

2.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის პროექტის საჯარო განხილვის (ზეპირი მოსმენის ჩატარებით ან/და ელექტრონული ფორმით), სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ჩართვის და აღნიშნულის საფუძველზე, საბოლოო პროექტის შემუშავების უზრუნველყოფა.

3.განკარგულება ძალაშია 2019 წლის 18 ნოემბრიდან.

4.განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, აღმაშენებლის ქუჩა №3).

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი, თავმჯდომარის მოადგილე — აკაკი დარჯანია